სამაცივრო ტექნიკის, ჰაერის კონდიცირების და თბური ტუმბოების (სკთ) დარგის სპეციალისტის ფიცი

ვხდები რა ხელოვნური სიცივის სფეროს სპეციალისტთა ოჯახის წევრი ვფიცავ:

- პასუხისმგებლობით გამოვიყენო ჩემი ცოდნა და უნარები. ყოველთვის პრიორიტეტად დავაყენო უსაფრთხოება, ხარისხი და გარემოს დაცვა;
- სიფრთხილით ვიმუშაო მაცივარაგენტებთან, არ დავუშვა ჩემი მოქმედების არეალში ოზონის შრისთვის, კლიმატისთვის ან ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო პრაქტიკის განხორციელება;
- არ დავუშვა ჩემი დახმარების მიმღების ეთნიკური კუთვნილების, სქესის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებების, რასის, სოციალური მდგომარეობის, ან სხვა ფაქტორის ზეგავლენა ჩემი პროფესიული მოვალეობის აღსრულებაზე;
- კეთილსინდისიერად და ღირსეულად შევასრულო ჩემი პროფესიული მოვალება, სკთ-სექტორში კარგი პრაქტიკის შესაბამისად;
- შეძლებისდაგვარად შევიტანო წვლილი სკთ-სფეროს სპეციალისტის პროფესიის კეთილშობილური ტრადიციების დამკვიდრებაში;
- დავიცვა ჩემს პროფესიასთან დაკავშირებული კანონები და სტანდარტები და ხელი შევუწყო მათ მუდმივ გაუმჯობესებას;
- ღირსეული პატივი და მადლიერება მივაგო ჩემს მასწავლებლებს, კოლეგებს და შეგირდებს;
- გავამართლო სკთ-სექტორის საბოლოო მომხმარებლების, კოლეგების და საზოგადოების მიერ ჩემდამი გამოცხადებული ნდობა;
- გავაგრძელო სწავლა და განვითარება ჩემს პროფესიაში, გავუზიარო ცოდნა სკთ-სექტორის სპეციალისტთა მომავალ თაობებს.

ამ ფიცს ვდებ საზეიმოდ, ნებაყოფლობით და უანგაროდ!